ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის №01-06/10 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

(სხდომა ჩატარდება დღის 11:00 საათზე)

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

4. ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის მიერ 2018 წლის განმავლობაში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი ჯამბულ სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2019 წლის --ივლისი

დაბა ქედა

„„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 23 აგვისტო.

4.ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 30 აგვისტო.

5.წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2019 წლის 22 აგვისტოს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2019 წლის 23 აგვისტოს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2019 წლის 30 აგვისტო.

* პროექტი*

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

2019 წლის -- ივლისი
დაბა ქედა

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11/05/2016; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016193) შეტანილი იქნას ცვლილება და

1. **დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საკრებულოს მორიგ სხდომას იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე, თვეში ერთხელ მაინც.“

2. **დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 341-ე მუხლი შეიცვალოს 34[1]-ე მუხლით და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ **მუხლი 34[1]. გენდერული თანასწორობის საბჭო**

1. საკრებულო, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის წესი, შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის ჩამოყალიბება ცვლილების შესაბამისად და ასევე საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ატვირთვის პროცესში თავის დროზე დაშვებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი გამოსწორება დადგენილების დანართის „341-ე“ მუხლთან დაკავშირებით.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს დადგენილებით დამტკიცებული დანართის 52-ე მუხლის პირველ პუნქტში, კერძოდ „საკრებულოს მორიგ სხდომას იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე, თვეში ერთხელ მაინც.“, ხოლო რაც შეეხება 341-ე მუხლს, აღნიშნულთან დაკავშირებით დადგენილების საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ატვირთვის პროცესში თავის დროზე დაშვებულია ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ რეგლამენტში დაემატა 34^1 პრიმა მუხლი გენდერული თანასწორობის საბჭო, ტექნიკური ხარვეზი კი მდგომარეობს შემდეგში: პრიმა ერთის ნაცვლად გაკეთდა ჩანაწერი 341 მუხლი, რომელთა მუხლის რაოდენობა არსებულ რეგლამენტში საერთოდ არ გვაქვს, ამიტომ მიზანშეწონილია არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება და 341 მუხლის ჩანაწერის ნაცვლად 34^1 მუხლის ჩანაწერის გაკეთება.

,ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- ივლისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის
მიერ 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის ექვს თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის დასაწყისიდან გეგმაზომიერად მიმდინარეობს მუშაობა ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების შესაბამისის შესყიდვის განსახორციელებლად და მუნიციპალური გონების მართვის კუთხით.

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის ექვს თვეში სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #2 ბრძანების ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის და 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანების ,,შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა პერიოდულად ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 6104166 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება

2019 წლის 01 ივლისამდე სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გამოცხადებული იქნა 109 ტენდერი. გაფორმდა სულ 138 ხელშეკრულება აქედან ელექტრონული ტენდერებით 72 ხელშეკრულება. სულ არ შემდგარი, შეწყვეტილი და უარყოფითად დასრულებული ტენდერების რაოდენობამ შეადგინა 30. მათ შორის. არ შედგა 12 , შეყვეტილია 11 და უარყოფითად დასრულდა 7 ტენდერი.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა: „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ,,თემზე

დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული შესყიდვები 202200 ლარის ფარგლებში. ექსკლუზიური უფლებამოსილებით - ადმინისტრაციული შენობის დაცვა -69600 ლარი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურება 5660 ლარი.

ჩატარებული ელექტრონული ტენდერების ძირითადი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა: მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მოსახლეობის სასმელი წყლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, დაბის და ტერიტორიული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, შიდა-საუბნო სასოფლო გზების მოწყობა, მინი სპორტული მოედნების, ამბულატორიების რემონტი და სხვა ღონისძიებები განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ანგარიშგების საკითხები. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #2 ბრძანების ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამსად ხდება შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება და ერთიანი ელექტრონული სისტემაში ატვირთვა.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ აჭარის ა.რ მთავრობის 2019 წლის 14 მარტის N39 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის გამოყოფილი 740 000 ლარის ფარგლებში სოფლის მოსახლეობაში ჩატარებული კრებების შესაბამისად შედგენილია პროგრამა, რომელიც მოიცავს 94 ღონისძიებას. დღეის მდგომარეობით დაწყებულია მუშაობა. აღნიშნული ღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვისათვის. უკვე 54 ღონისძიებაზე მიმდინარეობს სამუშაოები, 13 ღონისძიებაზე გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება , გამოცხადებულია ტენდერი 23 ღონისძიებაზე.

გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს მუნიციპალური ქონების აღრიცხვის, რეგისტრაციის , გასხვისების და მოვლა-პატრონობის კუთხით. კერძოდ დაწყებულია მუშაობა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ არსებული მუნიციპალური ქონების აუდიტორული შეფასების მათი კლასიფიკაციის და შესაბამისი აღრიცხვის ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით, რითაც დაზუსტდება არსებული ქონების განახლებული საბალანსო ღირებულებები .

წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით აჭარის საგზაო დეპარტამენტზე, შპს ,,კომუნალურსერვის“-ზე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროზე გადაცემულია 17 ერთეული ქონება , კერძოდ სარწყავი არხები, სპეცტექნიკა და მიწის ნაკვეთები. მიმდინარეობს მუშაობა და მომზადდა დოკუმენტაცია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული

საცხოვრებელი ბინების 16 ერთეულის მეპატრონეებზე გადაცემისათვის, კერძოდ დაბა ქედაში ახლად აშენებულ სოციალურ სახლში და სოფელ ჭინკაძეებში ადრე არსებული მეცხოველეობის მწყემსთა ბინების მეპატრონეებზე გადასაცემად.

წლის განვლილ პერიოდში სულ სამსახურში შემოსულია 701 წერილობითი დოკუმენტი მათგან 311 მოქალაქეზე განცხადება, 267 კორესპონდენცია და 123 მოხსენებითი ბარათი, რომლებზეც დროულად მოხდა შესაბამისი რეაგირება და გაცემულია პასუხები. მოქალაქეთა ძირითადი განცხადებები შეეხება მილების, სახურავების გამოყოფას, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას და ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, სამსახურის განყოფილებებში შედგენილია და გაგზავნილია 296 წერილობითი დოკუმენტი სახელმწიფო უწყებებში და კერძო კომპანიებში, რომლებიც შეეხება ქონების რეგისტრაციას, მათი მუნიციპალიტეტზე გადმოცემას, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და სხვა საკითხებს .

სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის ზოგჯერ იქმნება სირთულეები ზემდგომ ინსტანციებში მოთხოვნის დროულად განუხილველობის გამო კერძოდ, ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით, მაგალითად 2018 წლიდან დღემდე უშედეგოდ მოვითხოვთ ქონების მართვის სააგენტოსგან დაბა ქედასა და პ/მაისში მიწის ნაკვეთების გადმოცემას, ანალოგიურად რთულდება სატყეო ფონდში მოხვედრილი მიწის ნაკვეთებიდან ფონდიდან ამორიცხვა.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- ივლისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა, დანართი №2-სა და დანართი №3-სა.
2. დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის , სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის II კვარტალში ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03

პროგრამის დასახელება:
ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:
ქედის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის განხორციელების პერიოდი:
დაწყება-01 იანვარი 2019 წელი
დამთავრება- 31 დეკემბერი 2019 წელი
პროგრამის მიზანი:
ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა
პროგრამის აღწერა:
ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერა;
პროგრამის ბიუჯეტი
16 000 ლარი
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი
შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:
ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:
05 03 01
ქვეპროგრამის დასახელება:
ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;
არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ **არა**
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური
დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	16 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	**16 000**

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართვა და მხარდაჭრა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილება) N49 დადგენილებით დამტკიცებულია ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამა, II კვარტალში ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. მუნიციპალური პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის, დაიხარჯა 3487 ლარი.
ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ქედის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლის გუნდები. უჩხითის,სოფელი მახუნცეთი, ქედის, მერისის და წონიარისის გუნდები, პროგრამით გათვალისწინებული იყო სარეჟისორო ხარჯები ანუ მოხდა გუნდების მომზადება სკოლაში, ხოლო დასკვნით ფინალური თმაში გაიმართა ააიპ ქედის კულტურის ცენტრში, გამოვლინდელ გამარჯვებული საპრიზო ადგილზე სკოლის გუნდი, გამოვლინდა საუკეთესო მოთამაშე გოგონებს და ვაჟებს შორის, ღონისძიების მიზანია პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს

კრეატიული აზროვნების განვითარებაში და მათ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში.

2. ტრეინინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის-დაიხარჯა 396 ლარი.

ტრენინგი გაიმართა თემაზე ბულინგი, ტრენინგ ესწრებოდა სხვადასხვა სკოლის 25 ბენეფიციარი. შეხვედრა გაიმართა კითხვა პსუხის რეჟიმში, ტრენინგ უძღვებოდა მოწვეული სპეციალისტი.

3. კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში-დაიხარჯა 1485 ლარი.

კონკურში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოწავლეები,სულ დაყოფილი იყო 4 ასაკობრივ ჯგუფად ანუ V-VI, VII-VII, IX-X, XI-XII კლასების მიხედვით, თავდაპირველად მოხდა წერილობითი დავალება, მოხდა ნაშრომების გასწორება, მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეებმა მათი ნაშრომების პრეზენტაცია, სადაც გამოვლინდენ გამარჯვებულები, სულ მეორე ეტაპზე გადავიდა 30 მოსწავლე, გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ასევე მონაწილეებს მონაწილებს სერთიფიკატები, სულკონკურსში მონაწილებას ღებულობდა 180-მდე მოსწავლე. ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაზრდა და ინგლისური ენის პოპულარიზაცია.

4. ლაშქრობის მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე -დაიხარჯა 492 (ოთხასოთხმოცდათორმეტი) ლარი და 80 თეთრი.

ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 25 ახალგაზრდა, ახალგაზრდებმა მოინახულეს ცივასულას ციხე და მიწის ხიდი, ღონიძიების მიზანია ახალგაზრდებში ცნობადობის ამაღლება ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ.

2019 წლის II კვარტალში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 5860 (ხუთიათასრვაასამოცი) ლარი და 80 თეთრი.

დანართი №2

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების,

კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის

მიერ 2019 წლის მეორე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული

კულტურული ღონისძიებების შესრულების შესახებ

ანგარიში

1. **პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

   კულტურის განვითარების ხელშეწყობა

2. **ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 05 02 04

3. **ქვეპროგრამის დასახელება:**
   კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა

4. **ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**
   ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური

5. **დაფინანსების წყარო:**
   მუნიციპალური ბიუჯეტი

6. **ქვეპროგრამის მიზანი:**
   გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა.

7. **პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა;**

   დაწყება - 01 იანვარი 2019 წელი

   დამთავრება - 31 დეკემბერი 2019 წელი

8. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქურული ერთეული და თანამდებობის პირი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური. სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე.

9. პროგრამის შესრულების ანგარიშის რეზიუმე

2019 წლის მეორე კვარტალში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. აუტიზმის საერთაშორისო დღე; დაიხარჯა 352 (სამასორმოცდათორმეტი) ლარი;
2. 9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; დაიხარჯა 572 (ხუთასსამოცდათორმეტი) ლარი.
3. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული; დაიხარჯა 893,34 (რვაასოთხმოცდაცამმეტი ლარი და 34 თეთრი) ლარი.
4. „მხატვრული კითხვის კონკურსი“ დედაენის დღის კვირეულის ფარგლებში; დაიხარჯა 929,98 (ცხრაასოცდაცხრა ლარი და 98 თეთრი) ლარი.
5. საერთაშორისო ტურისტულო გამოფენაში „ექსპო ბათუმი“ მონაწილეობა; დაიხარჯა 2321 (ორიათასსამასოცდაერთი) ლარი.
6. სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა; დაიხარჯა 2981 (ორიათასცხრაასოთხმოცდაერთი) ლარი.
7. 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე; დაიხარჯა 594 (ხუთასოთხმოცდათოთხმეტი) ლარი.
8. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; დაიხარჯა 2999 (ორიათასცხრაასოთხმოცდაცხრამმეტი) ლარი.
9. ქედის მუნიციპალიტეტის მასწავლებელთა მესამე მუნიციპალური კონფერენციის ჩატარება; დაიხარჯა 2992 (ორიათასცხრაასოთხმოცდათორმეტი) ლარი.
10. მახუნცეთის კულტურის სახლის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო; დაიხარჯა 2119, 70 (ორიათასასცხრამმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი.

11. ექსკურსია-ლაშქრობის მოწყობა; დაიხარჯა 484 (ოთხაროტხმოცდაოთხი) ლარი.
12. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე; დაიხარჯა 506 (ხუთასექვსი) ლარი.
13. ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“-ს ფარგლებში „ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შესყიდვა“; დაიხარჯა 2700 (ორიათასშვიდასი) ლარი.
14. „ბაირამის“ დღე; დაიხარჯა 859,98 (რვაასორმოცდაცხრამმეტი ლარი და 98 თეთრი) ლარი.
15. ეტალონის ფინალურ თამაშში მონაწილეობა; დაიხარჯა 2399.97 (ორიათასსამასოთხმოცდაცხრამმეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი.

სულ დაიხარჯა: **23703,97** (ოცდასამიათასშვიდასსამი ლარი და 97 თეთრი) ლარი.

დანართი №3

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის , სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის II კვარტალში სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 01

პროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

დაწყება-01 იანვარი 2019 წელი

დამთავრება- 31 დეკემბერი 2019 წელი

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია,საზოგადოების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;

პროგრამის ბიუჯეტი

54 000 ლარი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტში გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, გაზრდილია ქედელი სპორტსმენების მიღწევები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 01 02

ქვეპროგრამის დასახელება:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ **არა**

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	54 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	**54 000**

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილება) N49 დადგენილებით დამტკიცებულია სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამა), II კვარტალში ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში**, დაიხარჯა 1249.99 (სამიათასშვიდასორმოცდაცხრა ლარი და 90 თეთრი) ლარი.

   ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“, შესარჩევ მუნიციპალურ თამაშში გამარჯვებული სკოლის გუნდები გადავიდნენ რეგიონალურ თამაშზე, სადაც სპორტული თამაშები გაიმართა შემდეგ სახეობებში: ფრენბურთი (ვაჟები, გოგონები)(ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), ფეხბურთი (ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), კალათბურთი(ვაჟები, გოგონები)(ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები, გოგონები)(გოგონები ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე, ხოლო ვაჟებმა მონაწილეობა მიიღეს ზონალურ თამაშზე):

2. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები (ფეხბურთი-349,98 ლარი, ჭადრაკი 349,98 ლარი. ფრებურთი 649.98 ლარი. კალათბურთი 599,97 ლარი, მაგიდის ჩოგბურთი 349,98 ლარი)- 2299,89 ლარი.**

   ღონიშძიებები გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. ფეხბურთი (საბაზო საფეხურის სკოლებს შორის), ჭადრაკი. სპორტულ თამაშებში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის 25 საჯარო სკოლა, სულ 410 მოსწავლე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდების დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრებით (სიგელი, მედალი, თასი).

3. **საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭებაზე - დაიხარჯა-1339 (ერთიათასსამასოცდაცხრამმეტი) ლარი და 98 თეთრი.**

   ღონისძიება შედგებოდა 4 ეტაპისაგან, ანუ თითოეულ საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ჭადრაკის გუნდის 3 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი, წარმატებას მიაღწიეს დათო სამნიძემ და საბა სამნიძემ,

4. **აჭარის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 639-(ექვსასოცდაცხრამმეტი) ლარი და 98 თეთრი.**

   ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთი გუნდი, სულ 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი), წარმატებას მიაღწიეს: ანრი დევაძე I ადგილი, ლინდა ჩიკვაიძე II ადგილი, ლინდა მახაჭაძე IV ადგილი, გიორგი დავითაძე IV ადგილი,

5. **თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა-დაიხარჯა-1897 (ერთიათასრვაასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი და 95 თეთრი.**

   ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი,სულ 7 მონაილე (ხუთი სპორტსმენი და ორი მწვრთნელი) წარმატებას მიაღწია დავით ფარტენაძემ (41კგ)-II ადგილი,

6. **ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი ქართული ჭიდაობაში-დაიხარჯა-249(ორასორმოცდაცხრა) ლარი და 99თეთრი** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ქართული ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: 7 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი, მიღწეული შედეგი: დავით ფარტენაძე (50კგ) I ადგილი, გოდერძი ოსანაძე (55კგ) I ადგილი, მამული გურგენიძე (66კგ) II ადგილი, დიეგო მახარაძე (70კგ) II ადგილი, არმაზი ჯაბნიძე (90კგ) II ადგილი, გიორგი ფარტენაძე (80კგ) III ადგილი. გუნდი უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო და კვების დღიური ნორმით (ერთი დღე).

7. **გ. ხინჩეგაშვილი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-დაიხარჯა-1869(ერთიათასრვაასსამოცდაცხრა) ლარი 99 თეთრი,** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: მიღწეული შედეგი: დიმა გოგიტიძე III ადგილი,

8. **თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი-დაიხარჯა-599 ხუთასოთხმოცდაცხრამმეტი) ლარი 98 თეთრი.** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, სულ 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი), მიღწეული შედეგი: გოგიტიძე დიმა (35 კგ) I ადგილი, გოგუაძე ანრი (38 კგ) I ადგილი, გოგუაძე კობა (35 კგ) II ადგილი, ცინცაძე ანრი 29 (კგ) III ადგილი, ცინცაძე ბაჩანა (41 კგ) III ადგილი. მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ სატრანსპორტო, კვების დღიური ნორმით 2 (ორი) დღე.
9. **პაატა გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 2199 (ორიათასასოთმოცდაცხრამმეტი) ლარი და98 თეთრი,** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გუნდი 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი), მიღწეული შედეგი: სანდრო მახაჭაძე I ადგილი, სალომე მახაჭაძე I ადგილი, ანრი ავჯიშვილი I ადგილი, ლინდა ჩიკვაიძე I ადგილი, ანრი დევაძე II ადგილი, მარიამ დავითაძე III ადგილი.
10. **ნოშრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში-249 (ორასორმოცდაცხრა) ლარი და 99 თეთრი.** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ქართული ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: 7 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი, მიღწეული შედეგი: ანრი ცინცაძე (30 კგ) I ადგილი, კობა გოგუაძე (35 კგ) III ადგილი, ლევანი თავდგირიძე (55 კგ) III ადგილი.
11. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში,-დაიხარჯა-1005(ერთიათასხუთი) ლარი.**

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის შესარჩევი მუნიციპალური თამაშების დასრულების შემდეგ, გამარჯვებული საჯარო სკოლის (გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი-ვაჟები,გოგონები, ფრენბურთი-ვაჟები,

გოგონები. კალათბურთი-ვაჟები, გოგონები. ფეხბურთი-ვაჟები) გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში რეგიონალურ თამაშზე, სადაც მხოლოდ წარმატებას მიაღწია ვაიოს საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდმა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ საქართველოს ზონალურ თამაშზე ქ. ქუთაისში. სამწუხაროდ წარმატებას ვერ მიაღწია.

12. **ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი-დაიხარჯა-1695 (ერთიათასექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი და 80 თეთრი,** ღონისძიებაში მონაწილობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლა, გუნდები დაიყო სამ (დანდალოს, ქედის, და მახუნცეთის)ზონად, აქედან პირველი და მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა(დანდალოს ზონა-სოფელი ახო, სოფელი დანდალო, ქედის ზონა- ქედა, ვაიო, მახუნცეთის ზონა-ქვ, მახუნცეთი, სოფელი მახუნცეთი) მონაწილეობა მიიღეს ფინალურ ტურში, პირველი ადგილი დაიკავა დაბა ქედის საჯარო სკოლამ, მეორე და მესამე ადგილი კი სოფ: ახოს და ქვ მახუნცეთის საჯარო სკოლის გუნდებმა დაეუფლენ, საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით (თასი, მედალი, სიგელი), ასევე დაჯილდოვდნენ საუკეთესო მეკარე,საუკეთეოსო თავდამსხმელი და მცველი ფასიანი საჩურით, ფინალურ ტურში გადასული გუნდები და მასწავლებლები უზრუნველყოფილი იყო ერთჯერადი კვებით,ღონისძიებაში ჩართული იყო 112 მოსწავლე,

13. **აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-(ქობულეთი)-დაიხარჯა-251 (ორასორმოცდაათი) ლარი.**

    შედეგი 7:5 ქობულეთის სასარგებლოთ.

14. **აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-(გორგია)-დაიხარჯა-229 (ორასოცდაცხრა) ლარი,**

    2:9 ქედის სასარგებლოთ.

15. **აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-(გალთ ჯგუფი)-დაიხარჯა-218 (ორასთვრამმეტი) ლარი,**

0:3 ქედის სასარგებლოთ.

16. საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსნგში (თბილისი) (ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში)დაიხარჯა-799(შვიდასოთხმოცდაცხრამმეტი) ლარი და 75თეთრი.

შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის კიკბოქსინგის გუნდი. მიღწეული შედეგი: 1. ნიკა ზოიძე - I - ადგილი; 2. თათია კობალაძე - I - ადგილი; 3. ლუკა მახაჭაძე - I - ადგილი; 4. ლინდა დიასამიძე - II - ადგილი; 5. უჩა ბერიძე - III - ადგილი.

2019 წლის II კვარტალში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 16796 (თექვსმეტიათასშვიდასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი და 27 თეთრი ლარი.

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის , სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის II კვარტალში ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში.

2019 წელს ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამით (ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა) გათვალისწინებულია 16 000 ლარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ კონკრეტული ღონისძიების შესრულებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები, ვინაიდან უზრუნველყოფილ იქნას ღონისძიებების ჩატარება.

მეორე კვარტალში განხორციელდა ოთხი ღონისძიება, კერძოდ:

1. **მუნიციპალური პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის, დაიხარჯა 3487 ლარი.**

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ქედის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლის გუნდები. უჩხითის,სოფელი მახუნცეთი, ქედის, მერისის და წონიარისის გუნდები, პროგრამით გათვალისწინებული იყო სარეჟისორო ხარჯები ანუ მოხდა გუნდების მომზადება სკოლაში, ხოლო დასკვნით ფინალური თმაში გაიმართა ააიპ ქედის კულტურის ცენტრში, გამოვლინდელ გამარჯვებული საპრიზო ადგილზე სკოლის გუნდი, გამოვლინდა საუკეთესო მოთამაშე გოგონებს და ვაჟებს შორის, ღონისძიების მიზანია პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს კრეატიული აზროვნების განვითარებაში და მათ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში.

2. **ტრეინინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის-დაიხარჯა 396 ლარი.**

ტრენინგი გაიმართა თემაზე ბულინგი, ტრენინგ ესწრებოდა სხვადასხვა სკოლის 25 ბენეფიციარი. შეხვედრა გაიმართა კითხვა პსუხის რეჟიმში, ტრენინგ უძღვებოდა მოწვეული სპეციალისტი.

3. **კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში-დაიხარჯა 1485 ლარი.**

კონკურში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოწავლეები,სულ დაყოფილი იყო 4 ასაკობრივ ჯგუფად ანუ V-VI, VII-VII, IX-X, XI-XII კლასების მიხედვით, თავდაპირველად მოხდა წერილობითი დავალება, მოხდა ნაშრომების გასწორება, მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეებმა მათი ნაშრომების პრეზენტაცია, სადაც გამოვლინდენ გამარჯვებულები, სულ მეორე ეტაპზე გადავიდა 30 მოსწავლე, გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ასევე მონაწილეებს მონაწილებს სერთიფიკატები, სულკონკურსში მონაწილებას ღებულობდა 180-მდე მოსწავლე.

ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაზრდა და ინგლისური ენის პოპულარიზაცია.

4. ლაშქრობის მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე -დაიხარჯა 492 (ოთხასოთხმოცდათორმეტი) ლარი და 80 თეთრი.

ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 25 ახალგაზრდა, ახალგაზრდებმა მოინახულეს ცივასულას ციხე და მიწის ხიდი, ღონიძიების მიზანია ახალგაზრდებში ცნობადობის ამაღლება ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ.

2019 წლის II კვარტალში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 5860 (ხუთიათასრვაასამოცი) ლარი და 80 თეთრი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის , სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე

განმარტებითი ბარათი

2019 წელს დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებული ღონისძიებებიდან მეორე კვარტალში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. აუტიზმის საერთაშორისო დღე;
   გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიებაში ჩართული იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები, საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და სხვა წევრები. აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე ქედაში მრავალფეროვანი აქტივობებით გაიმართა, მოწვეულმა ფსიქოლოგმა ქედის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბისა და სპეციალური სწავლების საჭიროების მქონე მოსწავლეებს, აუტიზმის შესახებ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა და სტერეოტიპებზე, მიმღებლობასა და ადაფტაციაზე ესაუბრა.ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენები, ხატვა, გაიმართა ასევე დისკუსია - ,,ცვლილებები აუტიზმისთვის", ახალგაზრდებმა თავად შეიმუშავეს დღის სლოგანი „გაანათე ლურჯად“ და ამ დღესთან დაკავსირებული სხვა სლოგანები. განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურებები. **დაიხარჯა 352 (სამასორმოცდათორმეტი) ლარი;**

2. 9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
   გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიება 9 აპრილის სკვერში 9 აპრილის ტრაგედიიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იყო გვირგვინი, ყვავილები, სანთლები. მოეწყო სლოგანი „მადლობათავისუფლებისთვის“, მემორიალი შეიმკო გვირგვინითა და ტიტებით. ჩატარდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისას 21 დაღუპულის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, დაინთო სანთლები. ღონისძიებაში ჩართული იყო ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, ააიპ ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამლი „ელესა“ და საზოგადოების სხვა წევრები. **დაიხარჯა 572 (ხუთასსამოცდათორმეტი) ლარი.**

3. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული; გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონიძიების ფარგლებში შეძენილ იქნა და გადაეცა უფასო კვების 23 ბენეფიციარს სააღდგომო ფუთა. **დაიხარჯა 893,34 (რვაასოთხმოცდაცამმეტი ლარი და 34 თეთრი) ლარი.**

4. „მხატვრული კითხვის კონკურსი“ დედაენის დღის კვირეულის ფარგლებში;
   გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“, 17 აპრილს გაფორმდა N86 ხელშეკრულება. ღონისძიებაში მონაწილეობდა ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის I , II , III , IVკლასის მოსწავლეები, სულ 56 კონკურსანტი. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებს გადაეცათ სიგელები, ხოლო პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები. მოეწყო ალაფურშეტი. **დაიხარჯა 929,98 (ცხრაასოცდაცხრა ლარი და 98 თეთრი) ლარი.**

5. საერთაშორისო ტურისტულო გამოფენაში „ექსპო ბათუმი“ მონაწილეობა;
   გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიება მიმდინარეობდა 3 დღე ქ. ბათუმში სასტუმრო შერატონში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი კულინარიული კუთხის მოწყობა (3 დღე), ღონისძიებაში მონაწილე პირთა (35 კაცი) კვებითი და სატრანსპორტო მომსახურება, საგამოფენო მასალების ტრანსპორტირება, გამოფენისათვის საჭირო ნივთების შეძენა. მოეწყო ეთნოგრაფიული და რეწვის მასალების გამოფენა. ასევე წარდგენილი იყო ააიპ ქედის კულტურის სახლთან არსებული ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. **დაიხარჯა 2321 (ორიათასსამასოცდაერთი) ლარი.**

6. სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა;

გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიება განხორციელდა 3 ტურად. პირველი ტური ჩატარდა 16 აპრილს, ხოლო მეორე ტური ჩატარდა 8 მაისს დაბა ქედაში, ააიპ ქედის კულტურის ცენტრში. პირველ ტურში განხორციელდა 12 სატრანსპორტო მომსახურება მონაწილე გუნდების (მუნიციპალიტეტის ფარგლებში) მათი ადგილმდებარეობიდან დანიშნულების ადგილამდე უკან დაბრუნებით, მე-2 ტურში - გადასული გუნდების ტრანსპორტირება (მუნიციპალიტეტის ფარგლებში 6 რეისი), მე-3 დასკვნით ფინალურ ტურში (10 მაისს) - გადასული გუნდების სატრანსპორტო მომსახურება (6 რეისი) მათი ადგილმდებარეობიდან ქ. ბათუმში სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში უკან დაბრუნებით. ღონისძიების ფარგლებში ჟიურის წევრებს გაეწია კვებითი უზრუნველყოფა I- II ტური 15 კაცი. **დაიხარჯა 2981 (ორიათასცხრაასოთხმოცდაერთი) ლარი.**

7. 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე; გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში შეძენილია მემორიალურ დაფებთან გასატანი 100 ცალი ვარდი და 3 ცალი ვარდის გვირგვინი. ღონისძიების ფარგლებში შეიმკო დაბა ქედის, წონიარისისა და ცხმორისის მემორიალური დაფები გვირგვინებითა და ყვავილებით. მოეწყო სხვადასხვა კულტურული აქტივობები. **დაიხარჯა 594 (ხუთასოთხმოცდათოთხმეტი) ლარი.**

8. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე;

9. გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში შეძენილია 60 ცალი მაისური მონაწილეთათვის, ღონისძიების ორგანიზებისა და გაფორმებისათვის საჭირო ნივთები. სპორტულ ღონისძიებებში I, II, III ადგილზე გასული მონაწილეებისათვის 12 ცალი თასი და 12 ცალი სიგელი, ასევე სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. პროგრამის ფარგლებში გაიმართა მარათონი (რბენა) ვაჟებსა და გოგონებში, ბირთვის კვრა, ქართული ჭიდაობა. ჩატარდა კონცერტი. **დაიხარჯა 2999 (ორიათასცხრაასოთხმოცდაცხრამეტი)** ლარი.

10. ქედის მუნიციპალიტეტის მასწავლებელთა მესამე მუნიციპალური კონფერენციის ჩატარება;
    გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. კონფერენცია ჩატარდა ქედის საჯარო სკოლაში, რომლის ფარგლებში შეძენილი და გადაცემული იქნა კონფერენციაში მონაწილეთათვის საჭირო სხვადასხვა საკანცელარიო ნივთი. განხორციელდა ქ. ბათუმიდან მასწავლებელთა სახლის წმომადგენლებისა და ტრენერი მასწავლებლების სატრანსპორტო მომსახურება. ასევე განხორციელდა ღონისძიებაში მონაწილე პირთა კვებითი უზრუნველყოფა. ღონისძიებაში ჩართული იყო 150 მონაწილე. **დაიხარჯა 2992 (ორიათასცხრაასოთხმოცდათორმეტი) ლარი.**

11. მახუნცეთის კულტურის სახლის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო;
    გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 22 მაისს გაფორმდა N107 ხელშეკრულება. ღონისძიება ჩატარდა მახუნცეთის კულტურის სახლში. ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა მახუნცეთის კულტურის სახლისთვის სასცენო ხავერდის ფარდა და სხვა ფასიანი საჩუქრები. მოწვეული სტუმრებისა და ღონისძიებაში მონაწილე პირებისთვის მოეწყო ალაფურშეტი. **დაიხარჯა 2119, 70 (ორიათასასცხრამმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი.**

12. ექსკურსია-ლაშქრობის მოწყობა;
    გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში მოვაწყეთ კულტურულ-შემეცნებიითი აქტივობა, ჩავრთეთ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 30 მოსწავლე, რომლებმაც მოინახულეს დანდალოს თამარ მეფის თაღოვანი ხიდი და კავიანის ციხე. უზრუნველყოფილი იყო მონაწილეთა კვება და სატრანსპორტო მომსახურება. **დაიხარჯა 484 (ოთხასოთხმოცდაოთხი) ლარი.**

13. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე;

გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ტრენინგს ესწრებოდნენ ქედის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, პედაგოგები და სხვა წევრები. ტრენინგის თემა ,,არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები", რომლის ფარგლებშიც მსმენელს მიეწოდა ინფორმაცია ტერმინოლოგიის, სწორი დამოკიდებულებისა და ქცევის მიმართ. გაიმართა ფილმის განხილვა და დისკუსია თემის ირგვლივ. ღონისძიების მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა. უზრუნველყოფილი იყო მონაწილეთა კვება. **დაიხარჯა 506 (ხუთასექვსი) ლარი.**

14. ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“.

ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“-ს ფარგლებში განხორციელდა „ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შესყიდვა“; გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო N117 ხელშეკრულება ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდთან. ღონიოძიება ჩატარდა 2019 წლის 31 მაისსა და 1 ივნისს, მოეწყო გასართობ - საგანმანათლებლო აქტივობები, ვორქშოპები, კინოჩვენებები, „ბარაბან შოუ“, ქუჩის თეატრალიზებული წარმოდგენა, ქუჩის მოხატვა, ფრანების გაშვება და სხვა აქტივობები. მოზარდებმა გაიარეს ფილმის წარმოების ყველა ეტაპი. ბავშვების ჩართულობით შეიქმნა მცირე ანიმაციური ფილმი. **დაიხარჯა 2700 (ორიათასშვიდასი) ლარი.**

15. „ბაირამის“ დღე;

გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“, 17 აპრილს გაფორმდა N86 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში შემენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მუსლიმი მრევლისათვის 4 ტკბილეულის ფუთა. **დაიხარჯა 859,98 (რვაასორმოცდაცხრამეტი ლარი და 98 თეთრი) ლარი.**

16. „ეტალონი“-ს ფინალურ თამაშში მონაწილეობა;

გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“, 17 აპრილს გაფორმდა N86 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა „ეტალონის ფინალურ თამაშში მონაწილეობა“-სთან დაკავშირებული მომსახურება, კერძოდ: ფინალში მონაწილე მოსწავლის (ახოს საჯარო სკოლის მე-10 ლკასის მოსწავლე ნიკა ბერიძე) და 2 თანხმლები პირის სატრანსპორტო მომსახურება, სასტუმროთი და კვებითი უზრუნველყოფა. ასევე, გულშემატკივართა (20 კაცი) სატრანსპორტო მომსახურება (ქედა-თბილისი-ქედა) და კვება. **დაიხარჯა 2399,97 (ორიათასსამასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი.**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის , სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის II კვარტალში სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში.

2019 წელს სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამით) გათვალისწინებულია 54 000 ლარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ კონკრეტული ღონისძიების შესრულებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები, ვინაიდან უზრუნველყოფილ იქნას ღონისძიებების ჩატარება.

მეორე კვარტალში განხორციელდა 16 ღონისძიება, კერძოდ:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში**, დაიხარჯა 1249.99 (სამიათასშვიდასორმოცდაცხრა ლარი და 90 თეთრი) ლარი.
   ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“, შესარჩევ მუნიციპალურ თამაშში გამარჯვებული სკოლის გუნდები გადავიდნენ რეგიონალურ თამაშზე, სადაც სპორტული თამაშები გაიმართა შემდეგ სახეობებში: ფრენბურთი (ვაჟები, გოგონები)(ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), ფეხბურთი (ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), კალათბურთი(ვაჟები, გოგონები)(ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები, გოგონები)(გოგონები ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე, ხოლო ვაჟებმა მონაწილეობა მიიღეს ზონალურ თამაშზე):
   ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. გუნდი უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო და ერთჯერადი კვების მომსახურებით.
2. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები (ფეხბურთი-349,98 ლარი, ჭადრაკი 349,98 ლარი. ფრებურთი 649.98 ლარი. კალათბურთი 599,97 ლარი, მაგიდის ჩოგბურთი 349,98 ლარი)- 2299,89 ლარი.**

   ღონიშძიებები გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. ფეხბურთი (საბაზო საფეხურის სკოლებს შორის), ჭადრაკი. სპორტულ თამაშებში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის 25 საჯარო სკოლა, სულ 410 მოსწავლე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდების დაჯილდოვება

ფასიანი საჩუქრებით (სიგელი, მედალი, თასი). ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“.

3. **საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭებაზე - დაიხარჯა-1339 (ერთიათასსამასოცდაცხრამეტი) ლარი და 98 თეთრი.**

ღონისძიება შედგებოდა 4 ეტაპისაგან, ანუ თითოეულ საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპოტო სკოლის ჭადრაკის გუნდის 3 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი, წარმატებას მიაღწიეს დათო სამნიძემ და საბა სამნიძემ, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, სასტარტო შესატანი და სატრანსპორტო მომსახურება.

4. **აჭარის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 639-(ექვსასოცდაცხრამეტი) ლარი და 98 თეთრი.**

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთი გუნდი, სულ 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი), წარმატებას მიაღწიეს: ანრი დევაძე I ადგილი, ლინდა ჩიკვაიძე II ადგილი, ლინდა მახაჭაძე IV ადგილი, გიორგი დავითაძე IV ადგილი, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (ორი დღე) და სატრანსპორტო მომსახურება (ორი რეისი).

5. **თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა-დაიხარჯა-1897 (ერთიათასრვაასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი და 95 თეთრი.**

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი,სულ 7 მონაილე (ხუთი სპორტსმენი და ორი მწვრთნელი) წარმატებას მიაღწია დავით ფარტენაძემ (41კგ)-II ადგილი, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა(ორი ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (თბილისი).

6. **ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი ქართული ჭიდაობაში-დაიხარჯა-249(ორასორმოცდაცხრა) ლარი და 99თეთრი** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ქართული ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: 7 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი, მიღწეული შედეგი: დავით ფარტენაძე (50კგ) I ადგილი, გოდერძი ოსანაძე (55კგ) I ადგილი, მამული გურგენიძე (66კგ) II ადგილი, დიეგო მახარაძე (70კგ) II ადგილი, არმაზი ჯაბნიძე (90კგ) II ადგილი, გიორგი ფარტენაძე (80კგ) III ადგილი. გუნდი უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო და კვების დღიური ნორმით (ერთი დღე). ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

7. **გ. ხინჩეგაშვილი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-დაიხარჯა-1869(ერთიათასრვაასსამოცდაცხრა) ლარი 99 თეთრი,** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: მიღწეული შედეგი: დიმა გოგიტიძე III ადგილი, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა (2 ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (გორი).

8. **თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი-დაიხარჯა-599 ხუთასოთხმოცდაცხრამმეტი) ლარი 98 თეთრი.** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, სულ 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი), მიღწეული შედეგი: გოგიტიძე დიმა (35 კგ) I ადგილი, გოგუაძე ანრი (38 კგ) I ადგილი, გოგუაძე კობა (35 კგ) II ადგილი, ცინცაძე ანრი 29 (კგ) III ადგილი, ცინცაძე ბაჩანა (41 კგ) III ადგილი. მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ სატრანსპორტო, კვების დღიური ნორმით 2 (ორი) დღე. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (ორი დღე) და სატრანსპორტო მომსახურება (ქობულეთი, 2 რეისი).

9. **პაატა გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 2199 (ორიათასასოთმოცდაცხრამმეტი) ლარი და98 თეთრი,** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გუნდი 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი), მიღწეული შედეგი: სანდრო მახაჭაძე I ადგილი, სალომე მახაჭაძე I ადგილი, ანრი ავჯიშვილი I ადგილი, ლინდა ჩიკვაიძე I ადგილი, ანრი დევაძე II ადგილი, მარიამ დავითაძე III ადგილი. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა(ორი ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (თელავი).

10. **ნოშრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში-249 (ორასორმოცდაცხრა) ლარი და 99 თეთრი.** ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ქართული ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: 7 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი, მიღწეული შედეგი: ანრი ცინცაძე (30 კგ) I ადგილი, კობა გოგუაძე (35 კგ) III ადგილი, ლევანი თავდგირიძე (55 კგ) III ადგილი. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (ერთი დღე) და სატრანსპორტო მომსახურება (შუახევი).

11. **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში,-დაიხარჯა-1005(ერთიათასხუთი) ლარი.**

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის შესარჩევი მუნიციპალური თამაშების დასრულების შემდეგ, გამარჯვებული საჯარო სკოლის (გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი-ვაჟები,გოგონები, ფრენბურთი-ვაჟები, გოგონები. კალათბურთი-ვაჟები, გოგონები. ფეხბურთი-ვაჟები) გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში რეგიონალურ თამაშზე, სადაც მხოლოდ წარმატებას მიაღწია ვაიოს საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდმა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ საქართველოს ზონალურ თამაშზე ქ. ქუთაისში. სამწუხაროდ წარმატებას ვერ მიაღწია. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ჯიჯო 13“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა

გუნდის კვების დღიური ნორმა (ორი დღე), ღამისთევა (ერთი ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (ქუთაისი).

12. **ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი-დაიხარჯა-1695 (ერთიათასექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი და 80 თეთრი,** ღონისძიებაში მონაწილობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლა, გუნდები დაიყო სამ (დანდალოს, ქედის, და მახუნცეთის)ზონად, აქედან პირველი და მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა(დანდალოს ზონა-სოფელი ახო, სოფელი დანდალო, ქედის ზონა- ქედა, ვაიო, მახუნცეთის ზონა-ქვ, მახუნცეთი, სოფელი მახუნცეთი) მონაწილეობა მიიღეს ფინალურ ტურში, პირველი ადგილი დაიკავა დაბა ქედის საჯარო სკოლამ, მეორე და მესამე ადგილი კი სოფ: ახოს და ქვ მახუნცეთის საჯარო სკოლის გუნდებმა დაეუფლენ, საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით (თასი, მედალი, სიგელი), ასევე დაჯილდოვდნენ საუკეთესო მეკარე,საუკეთეოსო თავდამსხმელი და მცველი ფასიანი საჩურით, ფინალურ ტურში გადასული გუნდები და მასწავლებლები უზრუნველყოფილი იყო ერთჯერადი კვებით,ღონისძიებაში ჩართული იყო 112 მოსწავლე, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ჯიჯო 13“.

13. **აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-(ქობულეთი)-დაიხარჯა-251 (ორასორმოცდაათი) ლარი. შედეგი 7:5 ქობულეთის სასარგებლოთ.** ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ჯიჯო 13“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის სატრანსპორტო და ერთჯერადი კვებით მომსახურება.

14. **აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-(გორგია)-დაიხარჯა-229 (ორასოცდაცხრა) ლარი,**

2:9 ქედის სასარგებლოთ.

ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ჯიჯო 13“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის სატრანსპორტო და ერთჯერადი კვებით მომსახურება.

15. აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-(გალთ ჯგუფი)-დაიხარჯა-218 (ორასთვრამმეტი) ლარი, 0:3 ქედის სასარგებლოთ.

ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს ,,ჯიჯო 13“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის სატრანსპორტო და ერთჯერადი კვებით მომსახურება.

16. საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსნგში (თბილისი) (ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში)დაიხარჯა-799(შვიდასოთხმოცდაცხრამმეტი) ლარი და 75თეთრი.

შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის კიკბოქსინგის გუნდი. მიღწეული შედეგი: 1. ნიკა ზოიძე - I - ადგილი; 2. თათია კობალაძე - I - ადგილი; 3. ლუკა მახაჭაძე - I - ადგილი; 4. ლინდა დიასამიძე - II - ადგილი; 5. უჩა ბერიძე - III - ადგილი.

ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ლევან აბესლამიძე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა (ერთი ღამე) და სამგზავრო ბილეთებით უზრუნველყოფა (ქედა-თბილისი-ქედა).

2019 წლის II კვარტალში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 16796 (თექვსმეტიათასშვიდასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი და 27 თეთრი ლარი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- ივლისი
დაბა ქედა

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის მიერ 2018 წლის განმავლობაში
შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის 2018 წლის განმავლობაში შესრულებული ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

დანართი №1

ა (ა) იპ ქედის კულტურის ცენტრის ანგარიში

2018 წელი

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი თავისი პროფილით არის მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო, ორგანიზაციულ - მასობრივი და საინფორმაციო მუშაობის ცენტრი, რომელიც მუშაობს ხუთი ძირითადი მიმართულებით:

1. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა;
2. ფოლკლორული მუშაობა;
3. საბიბლიოთეკო მუშაობა;
4. მხატვრულ -შემოქმედებითი საქმიანობა;
5. მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობა.

კულტურის ცენტრში შემავალი ორგანიზაციებია:

მოსწავლე- ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება;

საბიბლიოთეკო განყოფილება;

სასოფლო კლუბები და კულტურის სახლები;

შემოქმედებითი კოლექტივები

ერთიანად კულტურის ცენტრში დასაქმებულია 134 ადამიანი, აქედან 99 ძირითადი და 35 - შტატგარეშე მომუშავე პირი.

2018 წლის კულტურის ცენტრის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 546290 ლარით.

ქედის კულტურის ცენტრი 2018 წელს მუშაობდა კულტურის ცენტრის მიერ 2017 წლის დეკემბერში შემუშავებული და 2018 წლის 4 იანვარს ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორის მიერ # 01-02/ 01 ბრძანებით დამტკიცებული ,,კულტურის ცენტრის 2018 წლის სამუშაო და ღონისძიებების გეგმის მიხედვით“.

ქედის კულტურის ცენტრმა დაფუძნებიდან დღემდე, აქცენტი გააკეთა ფოლკლორზე. ამიტომ 2018 წელსაც გააგრძელა მუშაობა ფოლკლორული მასალების მოძიებისა და დამუშავების კუთხით. (თუმცა პარალელურად სხვა თუმცა სხვა მიმართულებითაც

გრძელდებოდა მუშაობა). კულტურის ცენტრი თავის შემადგენლობაში აერთიანებს 4 კულტურის სახლსა და 23 სასოფლო კლუბს.

2018 წლისათვის კულტურის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო და უმასპინძლა არაერთ ღონისძიებას. ჩატარდა ყველა ტრადიციული ღონისძიება, რომელიც 2018 წლის სამუშაო გეგმით იყო გათვალისწინებული.

ჩავატარეთ:

1. „ნაცნობი და უცნობი ისტორიები 25 თებერვალთან დაკავშირებით“- 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის. ამ ფატის ასახვა ქართველი კლასიკოსების შემოქმედებაში, უცნობი ისტორიები ამ ფაქტებთან დაკავშირებით-ფასილიტატორი ლია მახარაძე -25 თებერვალი

2. დედისა და ქალთა დღე , კვირეული- საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობენ ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებელები (კულტურის ცენტრი, სასოფლო კლუბები და კულტურის სახლები-11 კონცერტი)-3 მარტი

3 პოეტ რეზო თებიძის წიგნის „სიყვარულით“პრეზენტაცია- პრეზენტაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ კულტურის სახლებისა და სასოფლო კლუბების ხელმძღვანელები, საბიბლიოთეკო განყოფილების მუშაკები, „ნორჩ დეკლამატორთა „ წრის წევრები, ქედისა და პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პოეტები, მწერლები- 16 მარტი

4. ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე-ქალაქ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედიის გამოძახილი-9 აპრილი

5. ქართული ენის დღე-ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საბიბლიოთეკო განყოფილების წარმომადგენლებმა, „ნორჩ დეკლამატორთა“ წრის წევრებმა, ფოლკლორის დარგის სპეციალისტებმა- გულნაზ მახაჭაძე- 14 აპრილი

6. წიგნის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის აღინიშნა საბიბლიოთეკო განყოფილებაში- შეხვედრა ბიბლიოთეკარებთან- გულნაზ მახაჭაძე- 28 აპრილი

7. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისათავისადმი მიძღვნილი კონცერტი ჩატარდა დაბა ქედაში, ღია ცის ქვეშ, რომელშიც მონაწილეობენ კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული და

ვოკალური ანსამბლები, ასევე ინდივიდუალური შემსრულებლები, მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების წრეები-26 მაისი

8. პოეტ ანზორ ლორთქიფანიძის 75 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო საღამო-ქედის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილება- გულნაზ მახაჭაძე- 10 ივლისი

9. ,,ევროპის მემკვიდრეობის დღეები"-ერთობლივი კონცერტი ქედის კულტურის ცენტრისა და სახელოვნებო სკოლის საბავშვო ანსამბლების მონაწილეობით. ქედის კულტურის ცენტრთან არსებული მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების წრეების გამოფენა-29-30 სექტემბერი

10. გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლ ,,იაგუნდის" 10 წლის იუბილე და პირველი აუდიო ალბომის პრეზენტაცია-ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ბეთლემი", ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა", ,, მერისის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,მოყვარე", ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფესვები", სახელოვნებო სკოლის ანსამბლები, ფოლკლორის დარგის სპეციალისტები- 2 ნოემბერი

11. საქველმოქმედო კონცერტი ქედის საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ბაჩუკი ბერიძის დასახმარებლად-5 დეკემბერი

12. ,,ფიქრობ, სიცოცხლე ღირს"-ახალგაზრდა შემოქმედის , სსმ პირის, მადონა არძენაძის პოეზიის საღამო-18 დეკემბერი

13. საშობაო- საახალწლო კონცერტი პატარებისათვის-29 დეკემბერი

14. საშობაო გალა კონცერტი-31 დეკემბერი

მონაწილეობა მივიღეთ:

1. ბრიტანეთის საელჩოს ტრეინინგში, რომელიც ჩატარდა ქალაქ ბათუმში სასტუმრო ,,რადისონში"- 14 მარტი

2. ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა"-პიაცაზე-შეხვედრა ტურისტებთან-16 მარტი

3. . მერისის კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,მოყვარეს“ პირველი აუდიო-ალბომის პრეზენტაცია ქალაქ თბილისში, რომელიც ორგანიზებული იყო ფონდ ,,ქართული გალობის“ მიერ-19 მარტი

4. ,,მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“- დაუნის სინდრომით დაავადებულთა მსოფლიო დღე-21 მარტი

5. მაგიდის ჩოგბურთის მონაწილეების გაცილება მალტაში-7 აპრილი

6. . ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა" 21-22 აპრილს იმყოფებოდა უკრაინის ქალაქ ტერნოპოლში სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე ,,я там, де Є благословіння", სადაც ფესტივალის ლაურატობასთან ერთად დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. ,,ელესამ" ფესტივალის ფარგლებში ქართულ საგალობლებთან ერთად შეასრულა ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები. მსმენელთა განსაკუთრებული ოვაციები დაიმსახურა ანსამბლის მიერ უკრაინულ ენაზე შესრულებულმა სიმღერამ ,,სულიკო".-21-22 აპრილი

7. FM-104-5 აჭარის რადიო- ირაკლი სირაბიძე ისაუბრა სასულიერო მუსიკის ფესტივალის შესახებ და იქ ,,ელესას“ მონაწილეობაზე-25 აპრილი

8. აჭარაში ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებულ ფესტივალში ,,ტურიზმი ექსპრო- ბათუმი“-11-12-13 მაისი

9. სახალხო დღესასწაულში ,,ფრიდონობა“, რომელიც ჩატარდა განსხვავებული ფორმატითა და ფართო მასშტაბით-ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი ,,იაგუნდი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ბეთლემი“, ინდივიდუალური შემსრულებელები, ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული შერეული ჯგუფი ,,ცხმორისი“, ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფესვები“-17 მაისი

10. აღინიშნა ევროპის დღეები საქართველოში, რომელიც წელს ქედიდან დაიწყო და ჩატარდა გრანდიოზული კონცერტი ღია სივრცეში.- ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი ,,იაგუნდი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ბეთლემი“, ინდივიდუალური შემსრულებელები-18 მაისი

11. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს , ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა" ბალტიისპირეთში, ქალაქ ტალინში შეხვდა. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე

ესტონეთში საქართველოს საელჩომ კომპანია "ბორჯომთან" ერთად სახალხო ზეიმით აღნიშნა ტალინის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე “როტერმანის კვარტალში”, სადაც ღია ცის ქვეშ გამართულ საზეიმო საჯარო ღონისძიებაზე ,,ელესამ“ შეასრულა პოპულარული ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები. აქ შექმნილმა ქართულმა ატმოსფერომ სტუმრებს შესაძლებლობა მისცა თავადაც მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა სახალისო აქტივობაში.

ქედის კულტურის ცენტრი და ანსამბლი ,,ელესა“ უღრმეს მადლობას უხდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სრული დაფინანსებისა და ხელშეწობისათვის, ხოლო საქართველოს საელჩოს ესტონეთში და კომპანია ,,ბორჯომს" მიწვევისა და დიდი ყურადღებისათვის.-26 მაისი

12. ქედაში ჩატარდა ,,ოფროუდის ფესტივალის“ დასკვნითი ტური. ჩატარდა კონცერტი ღია სივრცეში, რომელსაც არაერთი უცხოელი ტურისტი დაესწრო-20 ივლისი

13. ფესტივალი მაჭახლის მეფუტკრეობა-თურქეთის მაჭახელი-ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“, უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფესვები“-11 აგვისტო

-14. ფესტივალი ,,ფოლკლორის დღეები" ბათუმში

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით ,,Check in Georgia” წარმოგიდგენთ ფესტივალს - ,,ფოლკლორის დღეები".
29 ივლისიდან 23 აგვისტომდე ბათუმში, ,,Check in Georgia”-ს ფარგლებში, გაიმართება ფესტივალი ,,ფოლკლორის დღეები". მონაწილეობენ: აჭარისა და თბილისის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები, ასევე ქორეოგრაფიული ანსამბლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სულ 25 კონცერტი და 40-მდე ანსამბლი. მხარდამჭერები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ბათუმის მერია, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრი, ბათუმის ბულვარი.-19 ივლისი-23 აგვისტო

15. ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ბეთლემი" იმყოფებოდა გასტროლზე აზერბაიჯანში ფოლკლორული ცეკვების III საერთაშორისო ფესტივალზე ,,მეგობრობის ხიდი" .
თურქეთის, ირანის, მოლდავეთის, რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა შემოქმედებით კოლექტივებთან ერთად მათ მიერ შესრულებულმა ცეკვებმა მაყურებლის უდიდესი ოვაცია და სიმპათია დაიმსახურა. ანსამბლი დაჯილდოვდა სერთიფიკატით.-9-13 ივლისი.

16. ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ელესას“ სოლო კონცერტი ,,არტ-გენის“ ფესტივალზე-14 ივლისი

-17. 21-24 აგვისტოს ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა," ტერნოპოლის თვითმმართველობის ოფიციალური მიწვევით, იმყოფებოდა უკრაინის ქალაქ კრემენეცში.
ანსამბლმა 22-23 აგვისტოს უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ არაერთ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და მასპინძლების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.
კრემენეცის მერმა, ალექსეი კოვალჩუკმა, ქედის მერთან და ანსამბლის წევრებთან ოფიციალური მიღება გამართა და ქედის თვითმმართველობას მადლობა გადაუხადა მეგობრული და კეთილგანწყობილი ურთიერთობებისათვის. -21-24 აგვისტო

18. სახალხო დღესასწაული ,,ბათუმობა“- ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“-1 სექტემბერი

19. სოფლის ტურიზმის განვითარების ფესტივალი ,,განდაგანა“-ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“-7 ოქტომბერი

20. ტრადიციული ქართული ხალხური რეწვის ოსტატების გამოფენა-გაყიდვა ახალციხეში-მეჭიბონე თემურ არძენაძე- 13-14-15 სექტემბერი

21. ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ელესას" თავისი მეორე ალბომის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მოხვდა , რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით ფონდ ,,,ქართულ გალობის" , მის გენერალურ დირექტორს ქალბატონ ნანა გოთუას -11 ნოემბერი

22. 2018 წლის 25 ნოემბერს ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ელესამ" მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და ფონდ „ქართული გალობის“ ორგანიზებით ჩატარებულ ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებაში, რომლის მთავარი მიზანი იყო ინეგოლში ადგილობრივი ტრადიციული აჭარული სიმღერების აღდგენა-პოპულარიზება და იქაურ ქართველებთან თანამშრომლობის გაღრმავება. ამ დღეს მოეწყო ფონდის მიერ გამოცემული წიგნის „ქართული მრავალხმიანობა დასავლეთ თურქეთში: პიტერ გოლდის ნაკვალევზე“ წარდგენა, რომელშიც 1968 წელს პიტერ გოლდის მიერ ჩაწერილი მასალები იყო თავმოყრილი. 50 წლის შემდგომ, ინეგოლში (თურქეთი), ამერიკელი ანთროპოლოგი, პიტერ გოლდი დაბრუნდა. იგი დაესწრო აღნიშნულ პრეზენტაციას და მონაწილეობა მიიღო სოფელ ჰაირიესა და ინეგოლში მის მიერ ჩაწერილ აჭარული სიმღერების

შესრულებაში, რომელიც დასაკრავებით სრულდება. სიმღერები გააცოცხლეს ფონდისა და კონსერვატორიის დახმარებით ინეგოლში ჩამოყალიბებულმა ფოკლორულმა ანსამბლმა ,,რირაშიმ" და ანსამბლმა ,,ელესამ" ახალგაზრდა ლოტბარ ირაკლი სირაბიძის ხელმძღვანელობით. ღონისძიების საპატიო სტუმრები გახლდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, ბ-ნი გიორგი ჯანჯღავა, ქ. სტამბულში საქართველოს გენერალური კონსული, ქ-ნი ინგა კიკვაძე, ინეგოლის ქალაქის მერი, ბ-ნი ალფერ თაბანი, ფონდის საბჭოს წევრები,ფონდ ,,ქართული გალობის" დამფუძნებელი ვანო ჩხარტიშვილი, ფონდის გენერალური დირექტორი ნანა გოთუა, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი, ბ-ნი ანზორ ერქომაიშვილი და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი, ბ-ნი გიორგი დონაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლები, ქ-ები რუსუდან წურწუმია და თამარ ჩხეიძე, და სხვ.
მასპინძლებს ქედის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა სახელით მიესალმა და ჩვენებურებს ახლად დაბეჭდილი წიგნი ,,აჭარული საუნჯე", ქედა, ტომი IV, საჩუქრად გადასცა ქედის კულტურის ცენტრის რეჟისორმა ლია მახარაძემ. მთელი კულტურის ცენტრის სახელით კი მასპინძლებს საჩუქარი გადასცა ქედის კულტურის ცენტრის დირექტორმა ჯამბულ სურმანიძემ.

23. ამ წლის შემაჯამებელი ღონისძიება გახლავთ ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის უნივერსიტეტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მიერ სულ ახლახანს გამოცემული კრებულის ,,აჭარული საუნჯე“(ქედა), ტომი IV, რომლის პირველი პრეზენტაციაც თურქეთში, ქალაქ ინეგოლში შედგა. წიგნი საჩუქრად გადაეცათ თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს. კრებულში თავმოყრილია წლების განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც საუკუნეებს მოიცავს. ეს არის აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებული ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული ნიმუშების პირველი ბეჭდური გამოცემა. მუშაობდნენ აღნიშნულ კრებულზე ფოლკლორისტები: ლია მახარაძე, ლეილა ბეჟანიძე, ქეთევან საფარიძე, ქედის კულტურის ცენტრთან არსებული სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების ხელმძღვანელები. პრეზენტაცია იგეგმება 2019 წლის მაისში

კულტურის ცენტრი ხშირად ღებულობს მონაწილეობას სხვადასხვა საქველმოქმედო კონცერტებსა და პრობლემების მქონე ადამიანთა დასახმარებელ აქციებში.- სისტემატიურად.

ასევე აღსანიშნავია საბიბლიოთეკო და მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილებების ნაყოფიერი მუშაობა 2018 წლისათვის. მათ არაერთ ღონისძიებასა და ეთნოგრაფიულ გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა, მასპინძლობს მუნიციპალიტეტში შემოსულ ყველა ტურისტს და მართავს კონცერტებს.

ჩატარდა ორი სახალხო დღესასწაული ,,ზესოფლელობა", ,,შემოდგომა ქედაში", რომელშიც ქედის კულტურის ცენტრის ყველა ანსამბლი მონაწილეობდა

ვუმასპინძლეთ

1. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგს ლოტბარებისა და ქორეოგრაფებისათვის- 9-10 მარტი

2. ტურიზმის დეპარტამენტთან არსებულ რეგიონულ საკონსულტაციო საბჭოს წევრ აკაკი ბერიძესა და გიდებს სხვადასხვა ქვეყნებიდან- მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების წრეები, ხალხურ საკრავთა ანსამბლი ,,იასამანი"- 11 მარტი

3. -არაბი ბიზნესმენები ქედაში- კულტურის ცენტრის მ/ა სახლის წრეები- მარტი

4. 16 აპრილს ქედის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ბათუმის საერთაშორისო ფესტივალ-ფორუმის ,,მსოფლიოს საუკეთესო პრინცი და პრინცესას" მონაწილეებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის: ტაილანდის, მონღოლეთის, ინდოეთის, რუსეთის, რუმინეთის, თათრეთის რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, უზბეკეთის, ბულგარეთის, კანადის, უკრაინის და საქართველოს კონკურსანტებს,- ქედის მერი ლევან გორგილაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე და გამგეობის სხვა წარმომდგენლები მიესალმნენ.
პროექტის საქართველოში ჩატარების მიზანი იყო: ტურისტების მოზიდვა, ტერიტორიაზე არსებული ღირსშესანიშნაობების, ნაციონალური სამზარეულოს, ბუნებრივი რესურსების, ტურისტული სერვისების პოპულარიზაცია-პროპაგანდა, ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის შთამბეჭდავი სანახაობის შეთავაზება, კულტურის, ტრადიციების, ისტორიის გაცნობა, ქვეყნებს შორის მეგობრობის, ნაცნობობისა და ურთიერთობების დამკვიდრებაა, 12 ქვეყნის დელეგატისთვის ქედის ცენტრში მოეწყო გამოფენა, სადაც ქედის კულტურის ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის წრეების ხელნაკეთობები - თექა, ნაქარგობები, ხეზე კვეთა, ტიხარი,-გამოიფინა, ხოლო კულტურის ცენტრთან არსებულმა

ანსამბლებმა: ,,ელესა", ,,იაგუნდი", ,,ბეთლემი", კვარტეტმა და მომღერალმა ირინა დევაძემ სტუმრებს მახუნცეთში გაუმართეს ლამაზი და მრავალფეროვანი კონცერტი.-16 აპრილი

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასკოლო დათვალიერების პირველ-მეორე ტურს 27 აპრილი-4 მაისი

6. მომღერალ ლაშა ღლონტს-10 მაისი

7. 2018 წლის 21 ივნისი- კიდევ ერთი ისტორიული და ლამაზი დღე ქედის მუნიციპალიტეტში-ტრადიციული ფოლკლორის ფესტივალი ,,არტ-გენი" და მონუმენტის ,,საქართველოს სადარაჯოზე" გახსნა. ამ ორ ღონისძიებას სიმბოლურად აერთიანებდა ერთი რამ- ფოლკლორისა და ქართული ადათ-წესების ერთ ჭრილში , ერთ ჩარჩოში მოქცევა. ფესტივალის მიზანი იყო ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია, ტრადიციული სიმღერების, ქორეოგრაფიული ნიმუშების შეგროვება და საზოგადოებისათვის გაცნობა. წლევანდელ ფესტივალში, რომელიც უკვე მეორედ ტარდება ქედაში, მონაწილეობდნენ: ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედისა და ბათუმის სალოტბარო სკოლის ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების წრეებმა წარმოადგინეს ტრადიციული ხალხური რეწვის ნიმუშები და სხვა ეთნოგრაფიული ნამუშევრები.-21 ივნისი

8. ხელოვნები სკოლა -სტუდია ,,ლიმპოპოს“ დაარსებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტს ,,ლიმპოპოს“ მონაწილეობით-22 ივნისი

9. ანსამბლ ,, ანჩისხატის“ კონცერტი ქედაში- 15 სექტემბერი

10. ანიმაციური ფილმების ფესტივალ ,, თოფუზს“ ორ ეტაპად: - 14-15 ივნისი, 20 ოქტომბერი

11. ლატვიისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით 16 ოქტომბერს ქედის მუნიციპალიტეტს სტუმრად ეწვია და ქედის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ულენბროკს “ ქალაქ რიგიდან. ანსამბლს ,,სენიორების“ სახელწოდებითაც იცნობენ, რადგან ყველა წევრი 50 წელს გადაცილებულია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მოეხიბლა ქედელი მაყურებლი. კონცერტში მათთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,ბეთლემმა“.-16 ოქტომბერი

12. ქედამ უმასპინძლა გიორგი გარაყანიძის სახელობის ბათუმის სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის მე-13 საერთაშორისო ფესტივალს ორი დღით. აღნიშნული ფესტივალის რეგიონში ჩატარების ეს პირველი შემთხვევაა, რაც ქედისათვის დიდი პატივია-25-26 ოქტომბერი.

13. აჭარის ტელევიზიის ანალიტიკურ გადაცემას „მთავარი აჭარაში“, რომელიც გადაცემას უძღვნიდა არამატერიალური კულტურის ძეგლებში- ქართული მრავალხმიანობის შესვლის საკითხს და ჩაწერა მერისის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მოყვარე“ -5 დეკემბერი

კულტურის სახლები და სასოფლო კლუბები

საახალწლო კონცერტი

1. ცხმორისის კულტურის სახლი- მურად ბოლქვაძე, დარიკო გეგიძე, შორენა ხალვაში, თამაზ ნაკაშიძე, მაყვალა თავართქილაძე, ავთანდილ ანანიძე- ცხმორისის კულტურის სახლი, გეგელიძეების, ახოს, კოკოტაურისა და სოფელ ცხმორისის სასოფლო კლუბები-15 იანვარი

2. „შენს მობრძანებას, წელო ახალო“- საახალწლო კონცერტი-ნათელა შავიშვილი- ვაიოს სასოფლო კლუბი-7 იანვარი

3. „წელო ახალო“- საახალწლო კონცერტი- ინდირა ქათამაძე-ცენტრი დანდალოს სასოფლო კლუბი- 28 დეკემბერი

4. „დამილოცნია ახალი წელი“-რამაზ გორგილაძე- აქუცის სასოფლო კლუბი- 30 დეკემბერი

5. „მშვიდობა შენს მობრძანებას, წელო ახალო“- ახლი წლისადმი მიძღვნილი კონცერტი- დოლოგნის სასოფლო კლუბი-4 იანვარი

6. „მრავალ ახალ წელს“- საახალწლო ზეიმი სოფელ მერისსა და ნამონასტრევში-მერისის კულტურის სახლი, ინაშარიძეების, სიხალიძეებისა და სოფელ მერისის სასოფლო კლუბები-მარინა საკანდელიძე, ჯემალ თურმანიძე, ნონა შარაძე, ზამირა თურმანიძე, ნესტან სურმანიძე, მარინა გოგოლიშვილი-28 დეკემბერი

7.საახალწლო კონცერტი-მარინა კონცელიძე- ზესოფლის სასოფლო კლუბი-27 დეკემბერი

8. საახალწლო -საშობაო კონცერტი-ამირან დუმბაძე- მეძიბნის სასოფლო კლუბი-30 დეკემბერი

9. ,,ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან"- ნესტან ბერიძე- ზვარის სასოფლო კლუბი- 4 იანვარი

10. ,,გზა დაგელოცოს ახალო წელო" -საშობაო კონცერტი- მავილე გათენაძე- კვაშტის სასოფლო კლუბი-28 დეკემბერი

11. ,,გამოდით, გამოდით, ახალი წელია"- საახალწლო-საშობაო- კონცერტი- მამული ზოიძე-ოქტომბრის სასოფლო კლუბი-27 დეკემბერი

12. ,,ახალი წლის მოლოდინში"- საშობაო კონცერტი- ინგა შავაძე-

დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კვირეული

1.,, ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა"- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება- პირველი მაისის სასოფლო კლუბი-მირანდა ჭყონია- 6 მარტი

2.,,ქალი სამყაროს დედაძარღვია"- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება- სოფელ დანდალოს სასოფლო კლუბი-ცენტრი დანდალოს სასოფლო კლუბი-თემურ არძენაძე, ინდირა ქათამაძე- 6 მარტი

3.,,აჩუქეთ დედებს იები"- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება- ორცვის სასოფლო კლუბი-ჯამბულ აბულაძე-7 მარტი

4. ,,დედას, დას, სატრფოს მეგობარს"- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება -გეგელიძეების სასოფლო კლუბი-შორენა ხალვაში, მურად ბოლქვაძე, დარიკო გეგიძე, თამაზ ნაკაშიძე, მაყვალა თავართქილაძე, ავთანდილ ანანიძე-8 მარტი

5. ,,გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ლურჯი ია"- მეძიბნის სასოფლო კლუბი- ამირან დუმბაძე-8 მარტი

6. ,,ქალიც და მარტიც გაზაფხულია"- დედისა და ქალთა დღე- ნათელა შავიშვილი- ვაიოს სასოფლო კლუბი- 6 მარტი

7. ,,დედავ, სიცოცხლის დიდო საწყისო“- დედისა და ქალთა დღისადმი მიღძვნილი კონცერტი- რამაზ გორგილაძე- აქუცის სასოფლო კლუბი- 6 მარტი

8. ,,ერთი ლამაზი დღე მოხუც ქალბატონებს“- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება- ციალა აბაშიძე- აგარის სასოფლო კლუბი-7 მარტი

9. ,,დედა, ია დაგიკრიფე“-დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი- თამაზ ნაკაშიძე- ახოს სასოფლო კლუბის ხელმძღვანელი-3 მარტი

10. ,,დედა უკვდავია, ქალი-სამყაროს საწყისი“-დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი-ნანა ბედინაძე, მურმან საფარიძე-დოლოგნის სასოფლო კლუბი- 5 მარტი

11. ,,ქალი დედაა ერისა“- მარინა კონცელიძე-ზესოფლის სასოფლო კლუბი-8 მარტი

12. ,,დედის თვალებით დანახული სამყარო“- მავილე გათენაძე- კვაშტის სასოფლო კლუბი-8 მარტი

13. ,,დამლოცე, დედა“- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი- მამული ზოიძე- ოქტომბრის სასოფლო კლუბი- 8 მარტი

14. დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი-ინგა შავაძე-ხარაულის სასოფლო კლუბი-8 მარტი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეული

1. ,,სხვა საქართველო სად არის?!“-საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე-რამაზ გორგილაძე-აქუცის სასოფლო კლუბი- 26 მაისი

2. ,,საქართველოო ლამაზო“- საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე- ნათელა შავიშვილი- ვაიოს სასოფლო კლუბი-26 მაისი

3. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი-ციალა აბაშიძე- აგარის სასოფლო კლუბი-26 მაისი

4.,,თავისუფლება ლომთა ხვედრია“- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-დოლოგნის, ზუნდაგის სასოფლო კლუბები, მახუნცეთის

კულტურის სახლი- ნანა ბედინაძე, მურმან საფარიძე, რევაზ ვარშანიძე, ციალა ბოლქვაძე, იმედა ვერძაძე-26 მაისი

5. ,,მოვუაროთ საქართველოს“- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი-0 თამაზ ნაკაშიძე- ახოს სასოფლო კლუბი-26 მაისი

6. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი-მერისის კულტურის სახლი, ინაშარიძეების, სიხალიძეებისა და სოფელ მერისის სასოფლო კლუბები-მარინა საკანდელიძე, ჯემალ თურმანიძე, ნონა შარაძე, ზამირა თურმანიძე, ნესტან სურმანიძე, მარინა გოგოლიშვილი-26 მაისი

7. ,,გვერდში დაგიდგები, ჩემო საქართველო“- საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება- ინგა შავაძე- ხარაულის სასოფლო კლუბი-28 მაისი

სახალხო დღესასწაულები

1. სახალხო დღესასწაული ,,ზესოფლელობა“- წმინდა სერაფიმ საროველის ხსენების დღე- მარინა კონცელიძე- 1 აგვისტო

2. შუამთობის დღესასწაული მთა ნაკონაღვარზე (სოფელი მეძიბნა)- ამირან დუმბაძე- მეძიბნის სასოფლო კლუბი-5 აგვისტო

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

1. ,,ბავშვები- ჩვენი სამყაროს იმედი“- მავილე გათენაძე- კვაშტის სასოფლო კლუბი-1 ივნისი

დაუგეგმავი ღონისძიებები

1. ,,შემოდგომა გაგვეპარა“- რამაზ გორგილაძე- აქუცის სასოფლო კლუბი-30 ნოემბერი

2. ლაშქრობა თამარის ციხეზე-ციალა აბაშიძე-აგარის სასოფლო კლუბი-10 ივნისი

3. მონაწილეობა ,,არტ-გენის“ რეგიონულ ტურში- ქედაში-მახუნცეთის, მერისისა და ცხმორისის კულტურის სახლებთან არსებული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებელები

4. ოფროუდის ფესტივალი- მერისის კულტურის სახლი, ინაშარიძეების, სიხალიძეებისა და სოფელ მერისის სასოფლო კლუბები-მარინა საკანდელიძე, ჯემალ თურმანიძე, ნონა შარაძე, ზამირა თურმანიძე, ნესტან სურმანიძე, მარინა გოგოლიშვილი-19 ივლისი

5. ლაშქრობა ,,გულების ქილისაზე- სექტემბერი

6. გამოსაშვები საღამო ფოლკლორის წრის წევრებისათვის-მავილე გათენაძე- კვაშტის სასოფლო კლუბი-13 ივნისი

7. გიორგი გარაყანიძის სახელობის ბათუმის სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის მეცამეტე საერთაშორისო ფესტივალი- მერისის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანასამბლი ,,მოყვარე“- ჯემალ თურმანიძე-26 ოქტომბერი

8. ფესტივალი ,,ფოლკლორის დღეები" ბათუმში

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით ,,Check in Georgia” წარმოგიდგენთ ფესტივალს - ,,ფოლკლორის დღეები".
29 ივლისიდან 23 აგვისტომდე ბათუმში, ,,Check in Georgia”-ს ფარგლებში, გაიმართება ფესტივალი ,,ფოლკლორის დღეები". მონაწილეობენ: აჭარისა და თბილისის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები, ასევე ქორეოგრაფიული ანსამბლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სულ 25 კონცერტი და 40-მდე ანსამბლი. მხარდამჭერები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ბათუმის მერია, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრი, ბათუმის ბულვარი.- ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფესვები“ -ხელმძღვანელი მურად თავართქილაძე, მერისის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,მოყვარე“-ხელმძღვანელი ჯემალ თურმანიძე-29 23 აგვისტო

9. ცნობილი პედაგოგისა და კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკის სალიხ ძნელაძის 80 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო საღამო-მურად ბოლქვაძე, დარიკო გეგიძე, შორენა ხალვაში, თამაზ ნაკაშიძე, მაყვალა თავართქილაძე, ავთანდილ ანანიძე- ცხმორისის კულტურის სახლი, გეგელიძეების, ახოს, კოკოტაურისა და სოფელ ცხმორისის სასოფლო კლუბები-30 მარტი

10. ,,მათი სახელი უკვდავია“- ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 73-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გმირთა მემორიალთან სოფელ წონიარისსა და ცხმორისში-

მურად ბოლქვაძე, დარიკო გეგიძე, შორენა ხალვაში, თამაზ ნაკაშიძე, მაყვალა თავართქილაძე, ავთანდილ ანანიძე- ცხმორისის კულტურის სახლი, გეგელიძეების, ახოს, კოკოტაურისა და სოფელ ცხმორისის სასოფლო კლუბები-9 მაისი

11 ტურისტული სეზონის გახსნა სოფელ გობრონეთში- მურად ბოლქვაძე, დარიკო გეგიძე, ილია გეგიძე, შორენა ხალვაში, თამაზ ნაკაშიძე, მაყვალა თავართქილაძე, ავთანდილ ანანიძე- ცხმორისის კულტურის სახლი, გეგელიძეების, ახოს, კოკოტაურისა და სოფელ ცხმორისის სასოფლო კლუბები-ივნისი

12. ,,იამბე, ჩემო სოფელო"- ფოლკლორის საღამო ხარაულაში- ინგა შავაძე- ხარაულის სასოფლო კლუბი-30 ივნისი

ქედის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილება აერთიანებს წიგნად ფონდში 44 531 წიგნს , რომლის განახლების მიზნით 2018 შეძენილია 143 ცალი წიგნი (2503 ლარი)

ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ ბაზაზე ფუნქციონირებს მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, რომლის მიზანია: რაც შეიძლება მეტი მოსწავლე-ახალგაზრდობა ჩართოს განყოფილებაში არსებული წრეების მუშაობაში. სულ ფუნქციონირებს 14 წრე(ნორჩ დეკლამატორთა, ხის მხატვრული დამუშავების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ჭრა-კერვის, ქსოვის, ქარგვის, აჭარული ტრადიციული კერძების დამზადების, დაწყებითი მოდელირების, ქარგვა აჭარული ორნამენტებით, ჯვარედინი ქარგვის, გობელენის, საბან-ლეიბის დამზადების, სამკურნალო მცენარეებისა და მათი გამოყენების, მინანქრის შემსწავლელი წრეები).

2018 წლის განსაკუთრებული მიღწევაა: ქედაში შეკრებილი ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით გადაღებული დოკუმენტურის ფილმი ,,სახრვა"-რეჟისორი გია დიასამიძე,

ამავე მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით წიგნის ,,აჭარული საუნჯე", ტომი მეოთხე (ქედის მასალების) დაბეჭდვა,

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,ელესას'" დისკის ჩატანა

პროექტის ,,ჭიბონის დამამზადებელი სკოლა -სახელოსნოს გახსნა" სოფელ დანდალოს სასოფლო კლუბში- მეჭიბონე თემურ არძენაძე- პროექტს აფინანსებდა ტრადიციული ხალხური რეწვის ასოციაცია ქალაქ თბილისიდან, პროექტის ღირებულება 4200 ლარი-

მერისის კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ ,,მოყვარეს“ პირველი აუდიო -ალბომის პრეზენტაცია და ლოტბარ ამირან თურმანიძის დაჯილდოება ფონდ ,,ქართული გალობის” მიერ ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის.